საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 19 11/05/2020

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ საქასრიაში მდებარე 1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 36.03.34.117). პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით, იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. Itd -სათვის გადასაცემად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ"ქვეპუნქტის, 122–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე - 5 პუნქტის საფუძველზე **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:**

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს, გადაცეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ხევში მდებარე **1908 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლით,იჯარის ფორმით ერთი წლის ვადით კომპანია hinan bridge construqcion group co. Itd -ს**

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 -ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა #48.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე